



ბრძანება

ბათუმი

28 თებერვალი 2017

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ეთერში სოციალური რეკლამის განთავსების წესის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 65-ე მუხლის მეორე პუნქტი საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ავალდებულებს, ეთერში განთავსების მიზნით წარმოდგენილ სოციალურ რეკლამას უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად დაუთმოს 1 საათში ჯამში არანაკლებ 60 წამისა. საკითხის მოწესრიგების მიზნით, მაუწყებელმა უნდა დაადგინოს სოციალური რეკლამის სტატუსის მინიჭების პროცედურები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35¹⁰ მუხლის მე-7 პუნქტისა და 65-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში სოციალური რეკლამის განთავსების რეგულაციები (დანართი #1) და სოციალური რეკლამის განთავსების მიზნით შექმნილი კომისიის დებულება (დანართი #2).
2. სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურმა (ი.გოგოლიშვილი) უზრუნველყოს ამ ბრძანებისა და შესაბამისი დანართების მაუწყებლის ვებგვერდზე ატვირთვა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ბათუმი, ზუბალაშვილის #30) მისი გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
4. ბრძანება ძალაშია 2017 წლის 01 მარტიდან.

დირექტორი

ნათია კაპანაძე

